ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

სწავლების მეთოდიკა და მისი როლი საგანმანათლებლო პროცესებში

თეა სოფრომაძე
თბილისის 215-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სწავლება/სწავლის პროცესის გაუმჯობესების საკითხები, დასაბუთებულია მასწავლებლის როლი ამ პროცესში, გაწერილია ის ძირითადი აქტივობები, რომელსაც უნდა ახორციელებდეს მასწავლებელი, რათა გაკვეთილი ეფექტიანად და ხარისხიანად წარიმართოს. ნაშრომში, ასევე, საუბარია სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებლის პროფესიისადმი მოტივაციის გაზრდისა და პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლების საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: *სწავლება, მეთოდი, მოსწავლე, მასწავლებელი.*

„ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ცუდად ზრდილი", „ სასიკვდილო მე ვარ მხოლო"...

ზოგჯერ მგონია საუკუნეების წინ ნათქვამი ეს სიტყვები უფრო ახლოა და აქტუალური დღევანდელობასთან, ვიდრე მაშინ.

განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში არცთუ სახარბიელოა. ყველას, განურჩევლად მდგომარეობისა, ნიჭისა თუ საჭიროებებისა, სურს დაამთავროს სკოლა, კოლეჯი და უნივერსიტეტიც კი. არასწორად აღიქმება პროცესი იმისა, რომ „ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება", რისი შედეგიც ხშირად ათობით ათასი ადამიანია.

ამ სიტუაციაში კი რეფორმა მართლაც სასიცოცხლად მნიშვნელოვანია, ხოლო რეფორმის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი პედაგოგებს აკისრიათ. პედაგოგიკა ნამდვილად გახლავთ „აღზრდის მეცნიერება", მასწავლებელი კი, აღზრდის პროცესის წამმართველი. იგი უნდა ფლობდეს ბავშვის ფსიქიკაში წვდომის უნარს, ფსიქოლოგიის გარეშე კი ფონის მოძებნა ნამდვილად გვჭირდება. ამ გზით ფსიქოლოგია მეცნიერების მრავალ დარგს უახლოვდება. უპირველეს ყოვლისა კი, პედაგოგიკას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში აესებული ცოდნა, რომელიც დროთა განმავლობაში მივიწყების საბურველში იყო გახვეული, დღეს ისევ განიცდის აღმასვლას. მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში. მასწავლებელი მუდმივად ახდენს ბავშვში ცვლილებებს, პიროვნების კორექციას. როგორც ვიცით სწავლის უნარ-ჩვევები მოსწავლეს მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ამიტომაცაა ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიის ცოდნა.

ნებისმიერ ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალურობას პედაგოგი უნდა ჩასწვდეს. ამის გარეშე იგი აღზრდის პროცესში წარმატებას ვერ მიაღწევს.

ISSN 1512-1801

მთელი ისტორიის განმავლობაში კაცობრიობა მუდმივად იყო დაინტერესებული განათლებაში შექმნილი მდგომარეობით, სვამდა კითხვას, როგორი უნდა იყოს განათლება დღეს და როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, რომელიც ზრდის თაობას. ახალი თაობა კი თავის მხრივ აყალიბებს ქვეყნის მომავალს, ქმნის სახელმწიფოს.

ჩვენი საუკუნის პედაგოგებს შორის არსებობს ერთგვარი შეთანხმება გააზრებულ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა სწავლობდნენ მოსწავლეები. სწავლა საუკეთესოდ ხორციელდება მაშინ, როცა არსებობს ხიდი, რომელიც ძველ ცოდნას ახალთან დააკავშირებს. მოსწავლე ყველაზე უკეთ კეთების პროცესში სწავლობს, ხოლო კეთება ყველაზე შედეგიანი მაშინაა, როცა ის რეალურ, ცხოვრებისეულ საკითხებს უკავშირდება, ანუ როცა ეხება რეალური და თითქმის რეალური პრობლების გადაწყვეტას. ამის მიხედვით შემუშავდა სტანდარტი, რომლსაც ექვსი მიმართულება აქვს:

1. სასწავლო პროგრამების ინტეგრაციული ნაწილები

აქ შედის სასწავლო პროგრამის ყოველკვირეული მასალა დიდი თემის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს ბევრი სფერო: მათემატიკა, ბიოლოგია, ისტორია, ხელოვნება, ეკოლოგია და ქცევის საკითხები. ამით მოსწავლეს ეძლევა საშუალება ისწავლონ სხვადასხვა დამოუკიდებელი საკითხი ერთი კონცეფციის გარშემო.

2. მუშაობა მცირე ზომის ჯგუფებში

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს წყვილებად და ჯგუფებად. ამ შემთხვევაში ხელი ეწყობა თანამშრომლობით სწავლებას.

3. თვალსაჩინოება სწავლების მიზნით

იგი მოიცავს სურათის დახატვას, ვენის დიაგრამების გამოყენებას, მრავალფეროვანი ჰიოპოთეზების შემუშავების პრობლემების გადაწყვეტის მიგნებას გონებრივი იერიშით, მთავარი კითხვების პერიფრაზირებას ურთიერთობის გამოხატვას დიაგრამებით.

4. სამუშაო სერია საკლასო ოთახში

როცა მოსწავლეები მუშაობენ კონკრეტულ საგანზე ან თემაზე: კითხულობენ მოთხრობას, სწავლობენ კონკრეტულ ფაქტს ისტორიული წყაროდან, მუშაობენ ხელოვნების პროექტზე, წერენ შემოქმედებითად. ვინც ადრე ასრულებს სამუშაოს, ის გადადის ახალ თემაზე.

5. რეალურ გამოცდილებასთან დაკავშირებული პრაქტიკა.

ეს პროცესი მოიცავს დიალოგს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. მათ ინტერესებსა და იმ საკიტხებზე, რომლებიც რეალურად არსებობს მათ ცხოვრებასა და სამყაროში. იგი გულისმობს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა მოსწავლეებიეს მიერ ახალ ამბებში გადმოცემული მოვლენების განხილვა. ეს ნიშნავს სწავლის პროცესში

ISSN 1512-1801

მოსაწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტის გამოყენებას, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის ან სოციუმის წევრებთან.

6. რეფლექსური შეფასება.

ასეთი პრაქტიკის დროს მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გააკეთონ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ და სწავლობენ, შექმნან თავიანთი ნამუშევრების პორთფოლიო. ასეთი ჩანაწერები ეხმარება მასწავლებელს დაუკავშიროს ერთმანეთს სწავლება და შეფასება. მუდმივი შეფასება კი ხელს უწყობს სწავლების პროცესის გაუმჯობესებას, რადგან მოსწავლეებს აქვთ საშუალება გადახედონ საკუთარ შეცდომებს და გამოასწორონ ისინი.

ყველა პედაგოგი ცდილობს მიაგნოს მიზნის მისაღწევ გზებს, სწორედ სწავლების მეთოდი არის ის გზა, რომელიც მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში ავითარებს შესამაბის კომპეტენციას. ამიტომ საჭიროა ვიპოვოთ და ახალ მოთხოვნებს შევუსაბამოთ ისეთი მეთოდები, რომლებიც კარგად იქნება მორგებული XXI საუკუნის მოსწავლეზე.

როგორ უნდა უნდა შეირჩეს სწავლების მეთოდი?

იმისათვის რომ კლასში სწავლის დონე მაღალი იყოს, ასევე სიტუაცია მოწესრიგებული და მოსწავლეები ორგანიზებულნი, საჭიროა მასწავლებელი ფლობდეს კლასის მართვის ხელოვნებას. ამისათვის კი აუცილებელია პედაგოგს შეეძლოს სწორად შერჩევა და გამოყენება სწავლების მეთოდებისა, სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეებზე და კლასის მართვის ეფექტური გამოყენება.

პედაგოგი უნდა იცნობდეს მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, იცოდეს გრავიკული სქემების, შეკითხვების დასმის, ამა თუ იმ აქტივობის გამოყენება. შეარჩიოს ზემოთჩამოთვლილისათვის შესაბამისი დრო და ცვალოს საჭიროებისამებრ. რაც შეეხება სასწავლო გეგმას, მას დღეს არცთუ ბევრი პედაგოგი არგებს მოსწავლეთა მისაღწევ მიზნებს, არადა მისი ეფექტური გამოყენება ითხოვს ზეპირ, წერილობით, ვიდეო, ინტერნეტ პრეზენტაციებს, სიმულაციებს, პრაქტიკას, კონფერენციას და ა.შ.

დღეს სწორედ ეს საკითხია მეტად დამაფიქრებელი, დისციპლინის თვალსაზრისით ვერ დაიკვეხნის ქართული სკოლის მოსწავლე. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა პედაგოგის მიერ საკუთარი დანიშნულების შეცნობა-გააზრებაა უმთავრესი. ბევრს აღარ გავაგრძელებ. ეფექტურია მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი, როცა პედაგოგი:

- არ ადუნებს ყურადღებას
- არ ტოვებს მოსწაველს გაკვეთილის შემდეგ
- არ იყენებს დასვენებას
- არ უხვევს მთავარი საკითხიდან
- შესწორებულ დავალებს გვიან არ აბრუნებს
- არ იძლევა შენიშვნებს სარკასტულად, შეურაცმყოფელად.
- არ ამკვიდრებს არაგონივრულ წესებს

ISSN 1512-1801

- არასამართლიან შეფასებებს არ გამოიყენებს
- არ აქვს უარყოფითი თვისებები

სკოლა ის ფენომენია, რომელიც ემსახურება ბავშვების აზროვნების განვითარებას, მზადაა ცვლილებისათვის. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.



სასწავლო პროცესის წარმატებით დასარეგულირებლად საინტერესოა, რამდენად კარგად ფლობს პედაგოგი კონფლიქტების მართვის ხელოვნებას.

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია კვლევითი ინიციატივები, ამ უნარების გარეშე ძნელია ადამიანმა სანდო ინფორმაცია მოიპოვოს. ინტერნეტი შეიცავს, როგორც ღირებულ, მაღალი ხარისხის ინფორმაციულ წყაროებს, ასევე არასანდო მიკერძოებულ წყაროსაც. ძნელია მოსწავლეს ცალსახად ურჩიო რომელ ინტერნეტ წყაროზე დაყრდნობა შეიძლება და რომელზე არა, თუმცა უნდა მივაწოდოთ რამოდენიმე კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ამა თუ იმ საიტის სანდოობა. საიტი უნდა ასოცირდებოდეს სანდო ორგანიზაციასთან, აუცილებლად უნდა მოვიძიოთ ავტორები, უნდა მუშაობდეს ბმულების, რომელთა საშუალებითაც შემოწმდება მათი სანდოობა, ხდება თუ არა მუდმივად საიტის განახლება, არის თუ არა ფოტომასალა, გრამატიკული შეცდომები, ინფორმაციის მოძიებისას უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს შემდეგი სიმბოლოები: org, com,net, edu, info და ა.შ.

როგორც უკვე ვთქვით, მასწავლებლის პროფესიამ საუკუნეები გაიარა. ეს გზა მეტად რთული და მწვავე კრიტიკით აღსავსე იყო. მასწავლებლობა არ მიიჩნეოდა

ISSN 1512-1801

პრესტიჟულ საქმედ და არც ასოცირდება ერუდიციასთან და ინტელექტთან. დღეს უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელს ადვილად შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს ახალ თაობასა და საზოგადოებაზე, თუმცა არსებობს მცდარი შეხედულებებიც მასწავლებლის პროფესიაზე და სწორედ მას დებენ ბრალს განათლების სისტემის გაუმართაობაში.

მასწავლებლობა ნაკლებად პოპულარულია-ასეთი მცდარი წარმოდგენა განაპირობებს იმას, რომ მასწავლებლობის მსურველი არცთუ ბევრი შეინიშნება, მაგრამ დღეს არსებობს ტენდეცია პედაგოგიურ ფაკულტეტზე სტუდენტობის რიცხვის მომატებისა. არსებობს მოსაზრება, რომ მასწავლებელი არასრული დატვირთვით მუშაობს, რომ ის დღის პირველ ნახევარშია მხოლოდ დაკავებული, მეორე ნახევარში კი თავისუფალია და ანაზრაურებაც მაღალია.

ეს ნამდვილად არაა ასე. მასწავლებელთა 70%-ს უწევს სახლში სამუშაოს წაღება, გასწაორება თხზულებებისა, წერითი დავალებები, პროექტების მომზადება. ხოლო არასასწავლო პერიოდში ესწრება ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, კურსებს. მუშაობს გეგმებზე და ა.შ.

მიაჩნიათ, რომ მასწავლებლის გამოცდილება პირდაპირ აისახება მოსწავლის შედეგებზე, რაც ასევე მცდარია. მთავარია პედაგოგს შეეძლოს მოსწავლეში თავდაჯერების, წარმატებისკენ სწრაფვის, სირთულეებთან ბრძოლის და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევები ჩამოუყალიბოს.

ნუთუ ანაზღაურების გაზრდა და დამოკიდებულების შეცვლა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ განათლების მოქმედ სისტემაში მასწავლებლის ინოვაციური როლი გაიზარდოს? ვფიქრობ უნდა გატარდეს ძირეული ცვლილებები, რათა მასწავლებელს შეექმნათ სათანადო პირობები, როლის უკეთ შესრულებისათვის. საჭირო ტექნოლოგიებით და რესურსებით უნდა იყოს პედაგოგი აღჭურვილი, რათა შექმნას მასალა იმისათვის, რომ მიიღოს მოსწავლეზე მაქსიმალურად მორგებული სწავლების მოდელი, ჰქონდეს მოტივაცია, კარგად აპრობირებული სასწავლო გარემო, შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლება, პროფესიული განვითარება, მცირერიცხოვანი კლასი, საათობრივი დატვირთვა.

ამიტომაც, თუ ზემოთაღნიშნულ ფაქტებს არ მიექცა ყურადღება სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან, მხოლოდ მასწავლებლის ენთუზიაზმი და ძალისხმევა შედეგს ვერ გამოიღებს.

ავიღოთ ფინეთის მაგალითი, რომლის საგანმანათლებლო სისტემა აღიარებულია საუკეთესოდ მთელს მსოფლიოში.

ჩვენგან განსხვავებით ფინეთში სამუშაო დღე 08:00:00 საათიდან და 3-4 საათამდე გრძელდება. სასკოლო რესურსი-არაჩვეულებრივი, ცალკე მაგიდები, ავეჯი-იოლი გადასაადგილებელი, მშობლებთან სრულიად განსხვავებული და დადებითი დამოკიდებულება, ანაზრაურება 2 500 ევრო, უპირატესობა ახალგაზრდა

ISSN 1512-1801

მასწავლებლებს ენიჭებათ, 60 წლის ასაკიდან კი აღარავინ მუშაობს. აქ არ არსებობს „ცუდი" მოსწავლე, ყველა ბავშვი თავს დაცულად გრძნობს.

უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მოტივაციის გაზრდა. აუცილებელია ხდებოდეს პედაგოგის წარმატების აღნიშვნა. ამის ძალიან კარგ, ხელმისაწვდომ ფაქტად მიმაჩნია სწორედ ასეთი ტიპის კონფერენციების მოწყობა, რომელშიც დღეს მე მსურს მონაწილეობის მიღება.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: უნდა არსებობდეს ინტერესებს მორგებული და კარგად დამუშავებული მასწავლებელთა მომზადების პროგრამები, კარგად შერჩეული ტრენერები და ტრენინგები., რომელიც ბევრის მიმცემი იქნება მონდომებული მასწავლებლებისათვის. არსებობდეს მრავალფეროვანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე ლიტერატურა. და არა პირდაპირ გადმოტანილი, ნათარგმნი, ჩვენს რეალობაზე ვერმორგებული წიგნები. სკოლის ბიბლიოთეკაში რამოდენიმე ერთეული წიგნი დევს, სადაც არცთუ გასაგებად გვასწავლიან, გვიანალიზებენ სიტუაციებს და გვაძლევენ რჩევებს.

დიდი საქმეების წარმატება, ხშირად პატარა საქმეებზეა დამოკიდებული. გონიერი და შემოქმედებითი თაობის აღზრდა მართლაც საქვეყნო საქმეა, ამიტომ უნდა იდგეს ყველა ერთად ცოდნის კარიბჭესთან დარაზმული და როგორც ვაჟას უთქვამს- „საცა სწავლაა, ქალაქიც იქ არის, თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გადაიქცევა".

გამოყენებული ლიტერატურა:

1) დ. უზნაძე „ბავშვების ფსიქოლოგია"-საქ. მეცნიერთა აკადემია, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2005
2) რ.ჯ. მარზანო, დ.ჯ ფიქერინგი, ჯ.ი ფოლოგი, ეფექტური სწავლება სკოლაში

საწავლო გეგმებისა და შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია აშშ. 2013

3) რ.ჯ მარზანო- კლასის მართვა
სასწავლო გეგმების შემუშავებისა და ზედამხედველობის ასოციაცია (ASCO) 2003
4) სტატიები განათლების საკითხებზე-მასწავლებელთა პროფ. განვითარების ცენტრი 2010
5) სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის „კომპანია მაესტრა" თბ 2007
6) ჯ. თერნბული-პროვესიონალი მასწავლების 9 მახასიათებელი . პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ 2012
7) დიალოგი+ალმანახი. 2008-2009. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი თბ. 2009
8) დიალოგ+ალმანახი 2009-2010 .ტ II ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი თბ 2010
9) ჟურნალი „მასწავლებელი" #6-2011, #3,#4-2012, #3-2013